ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5312458

ნომერი: AR1804222

თარიღი : 15.02.2021

გაცემის თარიღი : 04.03.2021

გაცნობის თარიღი : 05.03.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სულხან ცინცაძე , N 79; ქალაქი თბილისი , ქუჩა სულხან ცინცაძე , N 79; ქალაქი თბილისი , ქუჩა სულხან ცინცაძე , N 79;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანა ჩხაიძე პ/ნ 01008049833
- თბილისი ა.ტაბიძის 33

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

კორექტირება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ფოტომონტაჟის) მიხედვით ხდება არსებულ შენობაზე მიშენება და შესაბამისად ჩასატარებელი სარეკონსტრუქციო სამუშაოები სცდება I კლასის მახასითაებლებს. იგი თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება ისეთი სახის რეკონსტრუქციას, რომელიც საჭიროებს არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას.

შენობა-ნაგებობის კლასისადმი მიკუთვნება ხორციელდება ასაშენებელი ან სადემონტაჟო შენობა ნაგებობის პარამეტრების მიხედვით, რეკონსტრუქციისას, იმ შემთხვევაში, როდესაც შენობა-ნაგებობის კლასი იზრდება, კლასი განისაზღვრება შენობა-ნაგებობის საბოლოო (სამშენებლო დოკუმენტით გათვალისწინებული) პარამეტრების მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ რეკონსტრუქციისას შენობა-ნაგებობის კლასი მცირდება, მაშინ შენობა-ნაგებობის კლასისადმი მიკუთვნება ხორციელდება არსებული სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის პარამეტრების მიხედვით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით კი დგინდება, რომ ხდება არსებულ შენობის რეკონსტრუქცია - შეთანხმებული კონსტრუქციის საყრდენებზე დადგმით, შესაბამისად აღნიშნული სამუაოები სცდება I კლასს და წარმოადგენს არსებულ შენობის ისეთი სახის რეკონსტრუქციას, რაც საჭიროებს არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლოას თქვენ მიერ მოთხოვნილი სამუშაოები განიხილოს I კლასის კუთხით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.